

“ვახტაკორმა” გაუძლო

ტაშკენტი. “ვახტაკორის” სტადიონი. 14 მაისი.

“ვახტაკორი” (ტაშკენტი) - “დინამო” (თბილისი) - 0:0.

“ვახტაკორი”: ლიუბარცევი, დოცენკო, შტერნი, ნაუმენკო, ინოიატოვი, ვარიუხინი, რახმატულაევი, ისაკოვი, ს. მელქუმოვი, კრასნიცკი, იბრაგიმოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი: ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს რეხვიაშვილმა და ქორიძემ.

მატჩის დასაწყისი აღინიშნა ორმხრივი, სწრაფი იერიშებით. ორივე გუნდი ოსტატურად ახორციელებდა როგორც შეტევას, ისე დაცვასაც. მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და ერთობ შესამჩნევი შეიქმნა დინამოელთა საერთო უპირატესობა, რაც მალე საგოლე მომენტებშიც გადაიზარდა. მაგალითად, გავაშელი ორჯერ დარჩა ისეთ მდგომარეობაში, რომ აუცილებლად გოლით უნდა დაემთავრებინა დარტყმები. პირველად მას საუკეთესოდ მიაჩნდა ბურთი მეტრეველმა, ხოლო მეორედ საკუთრივ შესრულა სოლური გარღვევა და არც ერთ ამ მომენტს შედეგი არ მოჰყოლია.

“ვახტაკორის” კარის აღების საუცხოო შანსი მიეცა გ. ნოდიასაც (56-ე წ.): თბილისელთა სწრაფი კომბინაციის შემდეგ იგი სულ რამდენიმე მეტრის მანძილზე დარჩა ლიუბარცევის პირისპირ და ეს მომენტი ფორვარდმა დაკარგა.

რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა ჰქონდა “ვახტაკორსაც”, კერძოდ, კრასნიცკიმ საჯარიმო დარტყმის შემდეგ კარგ პოზიციაში გაიყვანა რახმატულაევი, მაგრამ თუ ვილაპარაკებთ საერთო შესაძლებლობებზე, თბილისელებს ისინი გაცილებით მეტი ჰქონდათ და მეტოქეებმა თანაბრად რომ გაიყვეს ქულები, ამით სარგებელში “ვახტაკორი” დარჩა.

ო. ზაქაროვი (ტელეფონით).

“ლელო”, 17 მაისი, 1969 წ.